

2023 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს „ათინათი“

ს/ნ 212705116

ფინანსური მდგომარეობა კონსოლიდირებული

	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	189443	77684	32591
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1069665	962279	608073
მარაგები	420000	438726	796295
მზა პროდუქცია	42063	19793	41095
სხვა მოკლევადიანი აქტივები	51867	40483	48320
სულ მოკლევადიანი აქტივები	1773038	1538965	1526374
გრძელვადიანი აქტივები			
მიწა	75210	75210	75210
დაუმთავრებელი მშენებლობა	0	106478	41265
შენობა-ნაგებობები	292745	184000	188000
მანქანა-დანადგარები	284478	287685	333700
სატრანსპორტო საშუალებები	20406	25508	44821
სხვა ძირითადი საშუალებები	8054	1310	2794
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	1135290	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	3968	1827	21
სულ გრძელვადიანი აქტივები	1820151	682018	685811
სულ აქტივები	3593189	2220983	2212185
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	175590	129273	247899
ანარიცხები	0	307	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	24544	71113
საგადასახადო ვალდებულებები	2043	1918	17829
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	177633	156042	336841
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	1535555	1278630	1109624
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	44879	31906	28261
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	1580434	1310536	1137885
სულ ვალდებულებები	1758067	1466578	1474726
საკუთარი კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი	84750	40987	40987
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	1553111	529678	512732
გადაფასების რეზერვი	197261	183740	183740
სულ საკუთარი კაპიტალი	1835122	754405	737459
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3593189	2220983	2212185

დანართი N2		
საქმიანობის შედეგები		
	31/12/2023	31/12/2022
ნეტო ამონაგები	6317049	5545359
საქონლის გაყიდვიდან	6317049	5545359
გაყიდვების თვითღირებულება	-4654365	-4900745
საერთო მოგება	1662684	644614
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	12382
დასაქმებულთა ანაზღაურება	-202741	-145500
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-71415	-46268
საპროცენტო ხარჯი	-50260	-47837
იჯარის ხარჯი	-4003	-3664
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-311399	-257264
სულ საოპერაციო ხარჯები	-639818	-488151
საოპერაციო მოგება	1022866	156463
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	212211	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	1235077	156463
მოგების გადასახადის ხარჯი	-31746	-1800
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	1203331	154663

დანართი N3		
ფულადი სახსრების მოძრაობა		
	31/12/2023	31/12/2022
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული წმინდა ფულადი ნაკადები	6245005	5864349
ფულადი სახსრების შემოსვლა პარტნიორებისგან	43763	0
ფულადი სახსრების შემოსვლა ბანკებისგან	477120	169006
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე (დადებითი)	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა	6765888	6033355

საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	-1135290	0
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	-5339103	-5973439
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-170903	-9690
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე (უარყოფითი)	-8833	-5133
ფულადი სახსრების გასვლა	-6654129	-5988262
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	77684	32591
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	189443	77684

დანართი N4		
კაპიტალის მოძრაობა		
	31/12/2023	31/12/2022
კაპიტალის გაზრდა	43763	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	1203331	154663
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	13521	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-179898	-10200
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	-127517
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	754405	737459
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1835122	754405

შპს „ათინათი“-ს განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

შპს „ათინათი“-ს მონაცემები

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ათინათი“ გადასახადის გადამხდელად ირიცხება 1999 წლის 26 ივლისიდან და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი 212705116.

მისი იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. ქუთაისი, მშენებლის ქ. N47.

ხელმძღვანელობა / წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი - დირექტორი - ანდრია ღვინევაძე (პ/ნ 60001046773), საქართველო.

საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორები:

- ანდრია ღვინევაძე (პ/ნ 60001046773), საქართველო - 33,33%;
- დავითი საღრიშვილი (პ/ნ 60001014074), საქართველო - 33,34%;
- ზურაბი ფხაკაძე (პ/ნ 60001055794), საქართველო - 33,33%.

1. ზოგადი ინფორმაცია

1.1. შპს „ათინათი“ (შემდგომში „საწარმო“) დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 1999 წლის 26 ივლისს, რეგისტრაციის მონერი: 12/4-954.

1.2. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

C.10.51.0 რძის გადამუშავება და ყველის წარმოება

G.46.33.0 საბითუმო ვაჭრობა რძის პროდუქტებით კვერცხით და საკვები ზეთებით და ცხიმებით

G.47.29.0 საცალო ვაჭრობა სხვა საკვები პროდუქტებით სპეციალიზებულ მაღაზიებში

1.3. საწარმო წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს. მას არ გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება.

1.4. შვილობილი და მეკავშირე საწარმოები:

1.4.2. შპს „მარგი“ (ს/ნ 412750214) რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 2019 წლის 13 დეკემბერს, რომლის 100% წილის მფლობელია შპს „ათინათი“.

შპს „მარგი“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

G.46.33.0 საბითუმო ვაჭრობა რძის პროდუქტებით კვერცხით და საკვები ზეთებით და ცხიმებით.

1.5. საწარმოს სტრუქტურა:

- ნედლეულის საწყობი
- სახარში საამქრო
- არაჟნის მოსამწიფებელი მაცივარი
- არაჟნის თერმოსტატი
- არაჟნის ინტენსიური მაცივარი
- არაჟნის დასაწვდომი მაცივარი
- მაწვნის თერმოსტატი
- მაწვნის ინტენსიური მაცივარი
- ხაჭოს თერმოსტატი
- სამრეცხაო
- ლაბორატორია
- შესაფუთი მასალების საწყობი
- მზა პროდუქციის საწყობი

1.6. საწარმო კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით ატარებს სხვადასხვა ექსპერიმენტებს პროდუქციის ხარისხის ამაღლების მიზნით.

2. ანგარიშგების მომზადების საფუძველი

2.1. საწარმოს მიერ ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „ბასსს“ მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების „მსს ფასს“-ის მიხედვით.

2.2. საწარმოს მიერ ფინანსური ანგარიშგება შედგენილია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ კანონისა და „სუბიექტების მიერ ანგარიშგებების წარდგენის, მესამე კატეგორიის საწარმოს მიერ ფინანსური ანგარიშგების გამარტივებული სახით წარდგენის, წარდგენილი ინფორმაციის გასაჯაროების, ანგარიშგების პორტალის სტრუქტურისა და მომხმარებელთა რეგისტრაციის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 18 სექტემბრის N6-15 ბრძანების მოთხოვნათა შესაბამისად.

2.3. საწარმოს მიერ წარმოდგენილი 2023 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

3.2. საწარმოს საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი.

3.3. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის - 31 დეკემბერს არსებული კურსით.

3.4. სავაჭრო მოთხოვნები წარმოქმნილია მომხმარებლისათვის საქონლის/მომსახურების მიწოდებიდან. ასევე მოიცავს მომწოდებლებზე გადახდილ ავანსებს. კომპანია არ აღიარებს სავაჭრო მოთხოვნის გაუფასურების რეზერვს, რადგან არ გააჩნია მისაღებ თანხებთან დაკავშირებული დანაკარგების გამოცდილება. ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკის და სარგებლის

კომპანიიდან გასვლა.

3.5. მატერიალური მარაგები, საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად, აღირიცხება უწყვეტი მეთოდით, ხოლო მარაგების თვითღირებულების განსაზღვრისათვის გამოყენებულია „საშუალო-შეწონილი“ მოდელი.

3.6. პროდუქციის თავისებურებიდან გამომდინარე (რძის პროდუქტების ვარგისიანობის ვადა 8 დღე) დარჩენილი მცირე ვადიანი პროდუქციის რეალიზაცია შეუძლებელია, ამიტომ სავაჭრო ქსელიდან 7 დღის შემდეგ პროდუქცია საწარმოს უბრუნდება და მისი რეალიზაცია (ვარგისიანობის ვადაში) წარმოებს „ნეტო სარეალიზაციო“ ჩამოფასებული ფასით საკონდიტროებზე. პროდუქციის გაუფასურება ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულია ზარალის სახით.

3.7. წარმოების ტექნოლოგიურ პროცესში გამოყენებული მასალების ჩამოწერა ხდება დამტკიცებული კალკულაციის შესაბამისად.

3.8. ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის საწვავის შესყიდვა წარმოებს ტალონებით და აღირიცხება შესყიდვის ღირებულებით. ტალონები აღირიცხება მარაგების სახით განცალკევებულად.

3.9. საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკიდან გამომდინარე, საწარმო იყენებს ძირითადი საშუალებების არიცხვის თვითღირებულების მოდელს. ძირითადი საშუალებები ანგარიშგებაში აისახა ისტორიული ღირებულებით, ცვეთის გამოკლებით.

3.10. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი აქტივების გაუფასურების ნაშთები არ დადგენილა. აქედან გამომდინარე გრძელვადიანი მატერიალური და არამატერიალური აქტივების აქტივების გაუფასურება ასახული არ არის.

3.11. ძირითადი საშუალებები:

- არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა - დაზუსტებული ფართობი 991,00კვ.მ.
- არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა - დაზუსტებული ფართობი 1859,00კვ.მ.
- შენობა-ნაგებობა N1 საერთო ფართობით 1109,55კვ.მ; N2 საერთო ფართობით 18,25კვ.მ.
- სატრანსპორტო საშუალებები:

მანქანის მარკა	მანქანის მოდელი	ფერი	ძარის ტიპი	ძრავის მოცულობა	ავტომანქანის სახელმწიფო ნომერი	გამოშვების თარიღი	გაფორმების თარიღი
MITSUBISHI	CANTER	თეთრი	სპეციალიზებული	2830	AA128AU	2001	29.08.2015 00:00:00
MAZDA	TITAN	თეთრი	სპეციალიზებული	1990	HH064QQ	2005	23.08.2017 00:00:00
NISSAN	VANETTE SLX	თეთრი	სპეციალიზებული	1974	DM978MD	1998	03.11.2017 00:00:00
MAZDA	BONGO	თეთრი	სპეციალიზებული	1998	VP372PP	2005	13.06.2018 00:00:00
DAF	65.22	თეთრი	სპეციალიზებული	6693	RB998BB	2008	27.06.2018 00:00:00
MERCEDES-BENZ	SPRINTER	თეთრი	სპეციალიზებული	2148	LL092IL	2003	21.07.2019 00:00:00
FORD	TRANSIT 120	თეთრი	ფურგონი	2496	ZZ280QZ	1998	30.11.2017 00:00:00
MERCEDES-BENZ	SPRINTER 313 CDI	თეთრი	სპეციალიზებული	2148	QQ653QR	2002	25.03.2021 00:00:00

- მანქანა-დანადგარები.
- სხვა ძირითადი საშუალებები.

3.12. მოკლევადიან ვალდებულებებს წარმოადგენს სავაჭრო ვალდებულებები, რომელიც მოიცავს მიწოდებული პროდუქციის სანაცვლოდ მისაღები საფასურის ოდენობას, და რომელთა დაფარვის ვადა არ აღემატება 12 თვეს.

3.13. გრძელვადიან ვალდებულებებს წარმოადგენს ბანკებისგან მიღებულ სასესხო ვალდებულებებს.

- მიღებული ბიზნეს სესხი 28.11.2023წ. სასესხო ხელშეკრულების N20482242. სესხის ვადა - 10 წელი. საპროცენტო განაკვეთი - 8,20%. ვალუტა - ევრო.
- მიღებული ბიზნეს სესხი 28.11.2023წ. სასესხო ხელშეკრულების N20992146.1. სესხის ვადა - 10 წელი. საპროცენტო განაკვეთი - 8,70%. ვალუტა - ევრო.

3.14. საკუთარი კაპიტალი მოიცავს კომპანიის საწესდებო კაპიტალს, გაუნაწილებელ ბოგება/ზარალს და ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვს.

4.1. შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით. კომპანია შემოსავალს აღიარებს დაპირებული საქონლის და მომსახურების მომხმარებლებისათვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით რომლის მიღების უფლებაც აქვს კომპანიას ან მოელის ამ საქონლის და მომსახურების გაცემის სანაცვლოდ.

4.2. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად საწარმო მოგების გადასახადით იბეგრება ე.წ. „ესტონური მოდელით“. დაბეგვრის ობიექტია განაწილებული მოგება, ხარჯები და განაცემები, რომლებიც საგადასახადო მიზნისათვის არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს ან განაცემებს.

4.3. საგადასახადო ვალდებულების დარიცხვა წარმოებს საგადასახადო ანგარიშგებაში ასახული (გაანგარიშებული) გადასახადის ოდენობით (შესაბამის დეკლარაციაში ასახული თანხით).

5.1. საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული წმინდა ფულადი ნაკადები წარმოადგენს გაყიდული პროდუქციიდან მიღებულ შემოსავალს, ხოლო გამოყენებულ წმინდა ფულად ნაკადებს წარმოადგენს საწარმოო დანახარჯებს.

5.2. მოხდა ფულადი სახსრების შემოსვლა პარტნიორებისგან; ასევე მოხდა განაწილება მესაკუთრეებზე დივიდენდის სახით.

5.3. მიღებულია საბანკო სესხი.

5.4. საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულად ნაკადებს წარმოადგენს განხორციელებული ინვესტიცია შპს ბესთ ავენიუში, კერძოდ:

საფირმო სახელწოდება: შპს ბესთ ავენიუ

საიდენტიფიკაციო ნომერი: 412776401

რეგისტრაციის ნომერი, თარიღი: 27/06/2023

იურიდიული მისამართი: ქ. ქუთაისი, რევაზ თაბუკაშვილის ქუჩა, N 171, ბინა 26

პარტნიორები:

შეზღუდული პასუხისმგებლობის

საზოგადოება ლუკი ჰაუსი,

412750777

50%

შეზღუდული პასუხისმგებლობის

საზოგადოება ათინათი,

212705116

50%

შპს “ათინათი”-ს დირექტორი

/ა. ღვინეფაძე/